ხელშეკრულება №64
გამარტივებული შესყიდვის შესახებ

ქ. ბათუმი 16 დეკემბერი 2014 წელი

შემსყიდველი: ააიპ „ბათუმის საცხენოსნო კლუბი", დირექტორის ბექა ხაბაძის სახით.
მისამართი: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. №25
საკონტაქტო ტელეფონები: 597971950
საიდენტიფიკაციო კოდი: 445419137
საბანკო რეკვიზიტები: სს „ლიბერთი ბანკი"
ბანკის კოდი LBRTGE22
ანგარიში № GE67LB0115119285487000

მიმწოდებელი: შპს „1001 წვრილმანი", დირექტორის რუსლან დიასამიძისსახით
მისამართი:ხელვაჩაური, სოფ. გონია
საკონტაქტო ტელეფონები: ----------
საიდენტიფიკაციო კოდი 448385872
საბანკო რეკვიზიტებისს „პროკრედიტბანკი"
ბანკის კოდი ----------
ანგარიში № GE90PC0653600100000351

ერთის მხრივ ააიპ „ბათუმის საცხენოსნო კლუბი" (შემდგომში „შემსყიდველი") ხოლო მეორეს მხრივ შპს „1001 წვრილმანი" (შემდგომში „მიმწოდებელი"), საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" მე-3 მუხლის 1 პუნქტის ს[1]) ქვეპუნქტისა და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვის სააგენტოს თავჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების მე-3 მუხლის მე-1 პუნქტის ა) ქვეპუნქტის საფუძველზე ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე „მიმწოდებელი" თანახმაა მიაწოდოს „შემსყიდველს" შემდეგი დასახელების საქონელი, კერძოდ:

№	საქონლის დასახელება	CPV	რაოდენობა (ცალი)	ერთეულის ფასი	მთლიანი ფასი
1	რკინის ბურღი 4 მმ	44500000	1 ცალი	2	2
2	რკინის ბურღი 5 მმ	44500000	1 ცალი	3	3
3	რკინის ბურღი 6 მმ	44500000	1 ცალი	4	4
4	რკინის ბურღი 9 მმ	44500000	1 ცალი	8	8
5	ბეტონის ბურღი 6 მმ	44500000	1 ცალი	2	2
6	ბეტონის ბურღი 8 მმ	44500000	1 ცალი	3	3
7	ბეტონის ბურღი 10 მმ	44500000	1 ცალი	4	4
8	ნასადკა (ბურღის პირი)	44500000	2 ცალი	2	4
9	შურუპი 3,5*50	44500000	250 ცალი	0,05	12,5
10	ხერხის პირი მაკიტა 125 მმ	44500000	1 ცალი	10	10
11	ალმასის დისკი 125მმ	44500000	1 ცალი	10	10
12	ჩაქუჩი გელა	44500000	1 ცალი	12	12
13	ნაჯახი	44500000	1 ცალი	15	15
14	ჩაქუჩი 800გრ	44500000	1 ცალი	8	8
15	ბრტყელტუჩა იტ	44500000	1 ცალი	15	15
16	ინდიკატორი	44500000	1 ცალი	2	2
17	მკვნეტარა	44500000	1 ცალი	25	25
18	ქვა 125*1,6	44500000	5 ცალი	2	10
19	სახრახნისი 0832	44500000	1 ცალი	8	8
20	ელექტროდრელი	44500000	1 ცალი	80	80

21	სახელური ხელეჩოს	44500000	1 ცალი	5	5
22	ურო 3 კგ	44500000	3 კგ	6	18
23	ურიკა	34911100	2 ცალი	85	170
24	დანა	39200000	1 ცალი	3	3
ჯამი					433,5

2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

2.1. მიწოდებული საქონლის ხელშეკრულებით შეთანხმებულ მოთხოვნებთან და პირობებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით შემსყიდველი განახორციელებს ხელშეკრულების შესრულების ინსპექტირებას. ინსპექტირების ჯგუფის შემადგენლობაში შედიან შემსყიდველის წარმომადგენლები.

3. მხარეთა ვალდებულებები

3.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ხარისხიანი და შესაბამისად სტანდარტული ნორმების საქონლის მიწოდება;

ბ) საქონლის მიწოდება უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

3.2. შემსყიდველი ვალდებულია - მიმწიდებელს გადაუხადოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საფასური.

4. საქონლის მიწოდების პირობები.

4.1. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიწოდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2014 წლის 22 დეკემბრის ჩათვლით.

4.2. მიწოდების ადგილი - ქ. ბათუმი.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი.

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება მოწოდებულ საქონელზე ხელშეკრულების ვადის შესაბამისად.

5.2. შესყიდვის ობიექტის (საქონელი) მიღება-ჩაბარება განხორციელდება მხარეებს შორის სათანადო აქტის გაფორმებით, მას შემდეგ რაც დასრულდება საქონლის მიწოდების პირობებით გათვალისწინებული ღონისძიებები.

6. ანგარიშსწორება

6.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის ღირებულება შეადგენს სულ 433.50 (ოთხასოცდაცამეტი ლარი და 50 თეთრი) ლარს. მათ შორის CPV-39200000 – 3 ლარი, CPV-34911100 – 170 ლარი და CPV-44500000 – 260.50 ლარი

6.2. ანგარიშსწორება განხორციელდება ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

6.3. „მიმწოდებლის" მიერ „შემსყიდველზე" მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულება ანაზღაურებული იქნება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე არაუგვიანეს 20 (ოცი) დღის განმავლობაში.

7. გარანტია

7.1. „მიმწოდებელი" იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული საქონელი იქნება ხარისხიანი და სტანდარტული ნორმების.

7.2. „მიმწოდებელი" ვალდებულია წუნდებული საქონლის შესახებ შეტყობინების მიღებიდან მოახდინოს დაუყოვნებლივ მისი შეცვლა.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

8.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

8.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან „შემსყიდველისათვის" პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

8.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9. უფლებების გადაცემა

9.1. „მიმწოდებელმა" „შემსყიდველს" წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მესამე პირს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები.

10. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

10.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო

ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

10.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

10.3. შემსყიდველს მომსახურების ღირებულების გადასახადის დაგვიანების შემთხვევაში მიმწოდებლის სასარგებლოდ ეკისრება ვადა გადაცდენილი გადასახდელი თანხის 0,1 %, ყოველი გადაცილებული დღისათვის.

10.4. მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების ვადის გადაცდენის შემთხვევაში, ეკისრება ყოველ გადაცილებულ დღეზე მომსახურების ღირებულების 0,1 % საურავის სახით.

10.5. საჯარიმო სანქციების გადახდა მიმწოდებელს არ ანთავისუფლებს ხელშეკლრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან. ამ შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება მთლიანად ან მისი რომელიმე პუნქტი.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

11.1. „შემსყიდველს" შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, „მიმწოდებლისათვის" ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ,

ა) თუ „მიმწოდებელს" ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება, სრული პროგრამა ან მისი ნაწილი.

ბ) თუ „მიმწოდებელს" არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

11.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს" დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11.3. „შემსყიდველს" შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ „შემსყიდველისათვის" ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.

12. ფორს-მაჟორი

12.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

12.2. ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადასალახავ და მათი კონტროლისაგან დამოკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული „შემსყიდველისა" და ან „მიმწოდებლის" შეცდომებსა და დაუდევრობასთან.

12.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხრისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

13. სადაო საკითხების გადაწყვეტა

13.1. „შემსყიდველმა" და „მიმწოდებელმა" ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

13.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში „შემსყიდველი" და „მიმწოდებელი" ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს სასამართლოს.

14. გამოყენებული სამართალი

14.1. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

15. ხელშეკრულების ენა

15.1. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის სრულდება ქართულ ენაზე.

16. შეტყობინება

16.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

16.2. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

17. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

17.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და ძალაშია 2015 წლის 23 იანვრის ჩათვლით.

18. გადასახადები და ბაჟები

18.1. მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ გადასახადების, ბეგარის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

18.2. ხელშეკრულება შესრულებულია და ხელმოწერილია ორ ეგზემპლარად და ინახება ხელშეკრულების მონაწილე მხარეებთან.

აიპ „ბათუმის საცხენოსნო კლუბი“ დირექტორი ბექა ხანდაძე	შპს „1001 წვრილმანი“ დირექტორი რუსლან დიასამიძე